543-გ-3-202402011156

N 543-გ 01.02.2024

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

გადაწყვეტილება კონტრაქტის შეწყვეტის შესახებ

პროექტის დასახელება: „ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (I2Q)
განმახორციელებელი: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი, საქართველო
ტენდერის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: №IBRD/I2Q/DB/NCB/08-2023
კონტრაქტის დასახელება: „წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარდევანის საჯარო სკოლის აიაზმის დაწყებითი სკოლის დეტალური პროექტის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები“
შერჩევის გამოყენების მეთოდი: ეროვნული საბაზრო მიდგომა
სამუშაოების ხანგრძლივობა: 25 (ოცდახუთი) თვე
შეფასების ვალუტა: ლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 3,995,480,00 ლარი

ტენდერში მონაწილე კომპანია:

შპს „გლობალ სტროი ინჟინერინგ“

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება:“შპს „გლობალ სტროი ინჟინერინგ“
მისამართი: ს.რ. კოტაიკის რეგიონი სოფელი არინჯი 4 ქ. 6 კორპუსი, სომხეთის რესპუბლიკა
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 4,426,180.00 ლარი
შეფასებული ფასი: 3,995,480,00 ლარი
საკონტრაქტო ფასი: 3,995,480,00 ლარი

პროექტის მოკლე აღწერილობა:

პროექტი მოიცავს სოფელ ნარდევანის საჯარო სკოლის აიაზმის 80 მოსწავლეზე გათვლილი დაწყებითი სკოლის დეტალური პროექტის მომზადებას და სამშენებლო სამუშაოებს, რომელიც უნდა განხორციელდეს თანდართული ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს ინფრასტრუქტურის სტანდარტების მიხედვით, კონცეპტუალური ბარათის, ზოგადი მოთხოვნებისა და მასალებისთვის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი:

გამარკვებული პრეტედენტის მიერ წარმოდგენილი შესრულების გარანტია არის არაავთენტური. შესაბამისად, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ვადამდე წყვეტს ხელშეკრულებას

№IBRD/I2Q/DB/NCB/08-2023 კონტრაქტორის მხრიდან კონტრაქტის არსებითი ხასიათის დარღვევის გამო, კონტრაქტის ზოგადი პირობების 59 მუხლის („კონტრაქტის შეწყვეტა“) შემდეგი პუნქტების შესაბამისად:

59.2 (ვ) – „კონტრაქტორი არ წარმოადგენს მოთხოვნილ გარანტიას“;

59.2 (თ) - *„თუ კონტრაქტორი, დამკვეთის აზრით, გარეულია თაღლითობაში და კორუფციაში, მოცემული კონტრაქტისათვს გამართული სატენდერო ვაჭრობის ან კონტრაქტის განხორციელების დროს „კონტრაქტის ზოგადი პირობების“ „ა“ დანართის 2.2 პარაგრაფის შესაბამისად, დამკვეთს უფლება აქვს შეუწყვიტოს მას კონტრაქტი და გაიყვანოს ობიექტიდან, კონტრაქტორისათვის თოთხმეტი (14) დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის შემდეგ“.*

ასევე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი „სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაციის“ მიხედვით კომპანიას **ჩამოერთმევა მონაწილეობის უფლება** დამკვეთის ნებისმიერი კონტრაქტისათვის გამართულ სატენდერო ვაჭრობაში **ერთი (1) წლის ვადით დაწყებული 2023 წლის 5 ოქტომბრიდან** (ტენდერის გახსნის დღე), რადგან პრეტენდენტმა დაარღვია კომპანიის ვალდებულება სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით, კერძოდ მან ვერ შეძლო კონტრაქტის შესრულების საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია